



№ 001820/31

04/03/2020

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პრეზიდიუმის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ა(ა)იპ – საქართველოს რაგბის კავშირის
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი (შემდგომ – პრეზიდიუმი) შემდეგი შემადგენლობით:

1. ერეკლე მექვაბიშვილი – გენერალური აუდიტორი, სხდომის თავმჯდომარე;
2. დავით გოგიჩაიშვილი – გენერალური აუდიტორის მოადგილე;
3. სოფიო დვალიშვილი – თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
4. ნოე ქაშიბაძე – აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
5. გიორგი კაპანაძე – ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
6. გიორგი მამრიკიშვილი – თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
7. თორნიკე შერმადინი – ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
8. გიორგი გაჩეჩილაძე – ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი;
9. ცოტნე ქარქაშაძე – სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის უფროსი;
10. ალექსანდრე გოგოლაშვილი – აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
11. ნატო ზაალიშვილი – იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
12. ზაზა გელაშვილი – შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
13. ვაჟა ბრაგვაძე – ადმინისტრაციის უფროსი.

საჩივრის ავტორი: ა(ა)იპ – საქართველოს რაგბის კავშირი (შემდგომ – რაგბის კავშირი).

წარმომადგენლები: რაგბის კავშირის პრეზიდენტი, გოჩა სვანიძე;
რომან პირველაშვილი (მინდობილობა N197/01; 02.03.2020);
გიორგი ნოზაძე (მინდობილობა N171/მ; 02.03.2020).

მოწინააღმდეგე მხარე: სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი.

წარმომადგენლები: სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, ზაზა შეყილაძე;
წამყვანი აუდიტორი, მურმან დარახველიძე.

დავის საგანი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2020 წლის 28 იანვარს დამტკიცებული ა(ა)იპ – საქართველოს რაგბის კავშირის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის 2014–2018 წლების შესაბამისობის აუდიტის N7/36 ანგარიშის ნაწილობრივ გაუქმება.

I

აღწერილობითი ნაწილი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2020 წლის 18 თებერვალს N120/02 საჩივრით (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი N1309/29; 18.02.2020) მომართა რაგბის კავშირმა და მოითხოვა აუდიტის ანგარიშის გაუქმება გასაჩივრებულ ნაწილში, კერძოდ:

1. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს: „კერძო სამართლის სუბიექტის იმ სახელშეკრულებო ვალდებულებებსა და სესხს, რომელთა გარანტად დგას სახელმწიფო, კერძო სამართლის სუბიექტის საქმიანობას იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ საბიუჯეტო ან სახელმწიფო ფონდების კუთვნილი თანხების, აგრეთვე რაიმე ფორმით სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრების გამოყენებასთან ან მართვასთან“. საჩივრის ავტორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიში, მიუხედავად მათი შენიშვნებისა, მოიცავს არასაბიუჯეტო შემოსავლების ხარჯვის შესაბამისობას, რისი უფლებაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ გააჩნია. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მათ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წარუდგინეს მოთხოვნილი შემოსავლების ამსახველი ყველა საბუთი (მათ შორის, საკუთარი შემოსავლები და საერთაშორისო გრანტები) იმ მიზნით, რომ შემოწმებულს ჰქონოდა საშუალება გადაემოწმებინა სახელმწიფო სახსრების ხარჯვის შესაბამისობა საერთო სურათში და დაედგინა, ხომ არ არსებობს ამ ხარჯების დუბლირება შემოსავლების სხვა წყაროდან. საჩივრის ავტორის განმარტებით, ამგვარი დარღვევა არ აღმოჩენილა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ვერ გამოავლინა სათანადო კომპეტენცია კანონის მოთხოვნებთან მიმართებაში. ამასთანავე, აუდიტის ანგარიშში შეიყვანა ის ხარჯებიც, რომლებიც რაგბის კავშირს გაღებული აქვს არასახელმწიფო შემოსავლებიდან, კერძოდ:

ა) ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების, სამუშაო დროის აღურიცხველობის, ხელშეკრულებების გარეშე შრომის ანაზღაურებასთან (პუნქტი 2.1. „შრომის ანაზღაურება“, გვ. 11) დაკავშირებით, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ რაგბის კავშირის ადმინისტრაცია შრომის ანაზღაურებას იღებს მხოლოდ საკუთარი შემოსავლებიდან. ასევე ხელშეკრულებები სახელმწიფო დაფინანსებით ანაზღაურებულ ყველა მუშაკთან არის დადებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაგბის კავშირი ვერ მიიღებს დაფინანსებას სახელმწიფოდან;

ბ) 2015 წელს ზედმეტად გადახდილ დღიურ ხარჯებთან (პუნქტი 2.1. „შრომის ანაზღაურება“, გვ. 15) დაკავშირებით, საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ აღნიშნული ხარჯები არ არის გადახდილი სახელმწიფო დაფინანსებიდან და შესაბამისად, მასზე ვერ გავრცელდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომპეტენცია;

გ) რაგბის კავშირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების რეალიზაციასთან (პუნქტი 2.2. „მიწის ნაკვეთების რეალიზაცია“, გვ. 16) დაკავშირებით, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოცემული საკითხი ასევე სცდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომპეტენციას და განმარტავს, რომ გარდა უფლებამოსილების გადამეტებისა, ანგარიში შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობას შეფასების კუთხით, რის დასამტკიცებლად, დამატებით წარმოდგენილ იქნა კერძო აუდიტორის შეფასების აქტები, რაც არ იქნა გათვალისწინებული;

დ) მივლინებების დროს ზენორმატიულ დღიურ ხარჯებთან (პუნქტი 2.4. „დაუდასტურებელი ხარჯი“, გვ. 27) დაკავშირებით, საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ აღნიშნული ხარჯები არ დაფინანსებულა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხით და რაგბის კავშირი

უფლებამოსილია გასცეს ზენორმატიული სამივლინებო ხარჯი საკუთარი შემოსავლებიდან – მიმღები პირის დაბეგვრის პირობით, ხოლო გაცემის წესთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ითვალისწინებს აუდიტის ანგარიშში მოცემულ რეკომენდაციას, თუმცა მიაჩნია, რომ აღნიშნული სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ აძლევს უფლებას გასცდეს კანონით დადგენილი კომპეტენციის ჩარჩოებს.

2. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომპეტენციის საკითხის გარდა, აუდიტის ანგარიშში შეიცავს მცდარ დასკვნებს, კერძოდ:

ა) რაგბის კავშირში სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირების რამდენიმე ორგანიზაციაში ერთდროულად ანაზღაურებად შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ აღნიშნულით არ ირღვევა არცერთი საკანონმდებლო ნორმა და მიუთითებს, რომ რაგბის კავშირი არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და არც სახელმწიფო დაწესებულება, სადაც იკრძალება შეთავსება;

ბ) 2018 წელს კვების მომსახურების შესყიდვისას ერთეულის ფასის გაზრდასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც აუდიტორული დასკვნის თანახმად, არაეკონომიურმა ხარჯმა შეადგინა 50,090 ლარი, საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ერთეულის ფასის გაზრდა 6 ლარით – ერთ ადამიანზე განაპირობა კვების პროდუქტებზე ფასის ზრდამ, რამაც, საშუალოდ, შეადგინა 15-20% (საქსტატის ეროვნული სამსახურის შესაბამისი საბუთი წარდგენილ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში), ხოლო კვების მომსახურების შესყიდვაზე – 11%, რაც არაეკონომიურ ხარჯვას არ ნიშნავს, როგორც ეს აუდიტის ანგარიშშია ასახული.

მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებებით (N001759/16; 02.03.2020), რაგბის კავშირის N120/02 საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: N1309/29; 18.02.2020) არ უნდა დაკმაყოფილდეს.

II

სამოტივაციო ნაწილი:

საჩივრის გაცნობის, საქმეში არსებული მასალების შესწავლისა და შემოწმების, გამოცხადებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შეფასების, ამ გარემოებათა ურთიერთშეჯერების, საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გაანალიზებით, პრეზიდენტი მივიდა დასკვნამდე, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2020 წლის 18 თებერვალს რაგბის კავშირის მიერ წარმოდგენილი N120/02 საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N1309/29) არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. საჩივრის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც რაგბის კავშირის მიერ არასახელმწიფო შემოსავლებიდან გაწეულ ხარჯებთან მიმართებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული მანდატის საკითხს შეეხება, პრეზიდენტი აღნიშნავს:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილებას, რომელიც ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის განხორციელებას ითვალისწინებს.

მითითებული კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, აუდიტის ერთ-ერთი ფორმაა შესაბამისობის აუდიტი, რომელიც აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზნობრიობის შემოწმებას მოიცავს.

ადნიშნული კანონის შესაბამისად,[1] აუდიტორული საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით[2] განსაზღვრული ამოცანების შესრულებას ემსახურება, აუდიტორული უფლებამოსილება ვრცელდება პირზე (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად), რომლის საქმიანობა საჯარო რესურსების, მათ შორის, საბიუჯეტო სახსრების მართვას უკავშირდება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების[3] შესაბამისად, რესურსების საჯარო ხასიათს განსაზღვრავს:

- დაფინანსების წყარო;[4]
- საკუთრების უფლება;[5]
- საქმიანობის ბუნება.[6]

ამდენად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატი, რომელიც საჯარო რესურსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობას ისახავს მიზნად, ამ მიმართებით აუდიტის ობიექტის საქმიანობის აუდიტორულ შემოწმებას მოიცავს, რომლის ფარგლების განსაზღვრა კერძო სამართლის სუბიექტების შემთხვევაში, შემდეგ მიდგომებს ეფუძნება:

- აუდიტის ობიექტი შეიძლება იყოს საწარმო, თუ სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა ან/და მუნიციპალიტეტი მასში არსებით წილს ფლობს - 50%-ს და მეტს.[7] აუდიტორული შემოწმება ამ საწარმოს მთლიან საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას მოიცავს, რაც აუდიტის

[1] იხ.: საქართველოს ორგანული კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი, მე-4 მუხლი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-17 მუხლის პირველი პუნქტი და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება.

[2] „საჯარო მმართველობის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების ხელშესაწყობად საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები“ (მუხლი 69.1).

[3] „სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე“ (საქართველოს ორგანული კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი).

„სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისას იყენებს აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დეკლარირებულ საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს“ (ამავე კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი).

[4] სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების სახსრები.

[5] სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების ქონება.

[6] აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, „საზოგადოებრივ ფინანსებთან დაკავშირებული ოპერაციები, განურჩევლად იმისა, თუ როგორ აისახება ისინი ნაციონალურ ბიუჯეტში, უმაღლესი აუდიტორული ორგანოს შემოწმების ობიექტს წარმოადგენს. უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მიერ მოწმდება აგრეთვე საზოგადოებრივ თანხებთან დაკავშირებული საქმიანობის ის სფეროები, რომლებიც ნაციონალურ ბიუჯეტში არ აისახება“ (ISSAI 1 – „ლიმის დეკლარაცია აუდიტის პროცედურათა დირექტივების შესახებ“, მუხლი 18.3). ამდენად, აუდიტის ობიექტის (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო ამოცანების შესრულებას უკავშირდება, ამ მიზნით მობილიზებულ (მიღების წყაროს მიუხედავად) და გამოყენებულ რესურსებს საჯარო ხასიათს სძენს.

[7] იხ. საქართველოს ორგანული კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დომინანტური საჯარო ფინანსური ინტერესის/გავლენის არსებობას უკავშირდება. კერძოდ, ISSAI 1, 23.1 მუხლის თანახმად, „სახელმწიფო თავისი ეკონომიკური საქმიანობის არეალს ხშირად კერძო სამართლის საწარმოებში მონაწილეობით აფართოებს. ამგვარი საწარმოების აუდიტიც ასევე წარმოადგენს უმაღლესი აუდიტორული ორგანოს აუდიტის ობიექტს, თუ სახელმწიფოს მასში არსებითი წილი აქვს, ფლობს საკონტროლო პაკეტს ან ახორციელებს დომინირებად გავლენას მის საქმიანობაზე.“. ასეთ საწარმოსთან მიმართებით აუდიტორული კომპეტენციის შეზღუდვა მისი წილის/აქციების ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე განთავსებას უკავშირდება. აღნიშნულ შემთხვევაში, საწარმომ მხოლოდ თავისი ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაცია, მოთხოვნისამებრ, უნდა წარუდგინოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

გარდა ამისა, საწარმო აუდიტის ობიექტი შეიძლება იყოს მაშინაც, თუკი მისი სახელშეკრულებო ვალდებულება და სესხი უზრუნველყოფილია სახელმწიფოს გარანტიით, მისი საქმიანობა დაკავშირებულია საბიუჯეტო ან სახელმწიფო ფონდების კუთვნილი თანხების, აგრეთვე რაიმე ფორმით სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის საკუთრების მართვასთან.[8] ასეთ შემთხვევაშიც, აუდიტორული შემოწმების ფარგლებს საჯარო ფინანსური ინტერესის/გავლენის დომინანტობა განსაზღვრავს. კერძოდ, ISSAI 1, 24-ე მუხლის შესაბამისად, „უმაღლესი აუდიტორული ორგანო უფლებამოსილია, გადაამოწმოს საზოგადოებრივი ფონდებიდან გამოყოფილი სუბსიდიების გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული სუბსიდია სუბსიდირებული ორგანიზაციის შემოსავალსა ან კაპიტალთან შედარებით მნიშვნელოვნად დიდია, აუდიტორული ორგანოს მიერ ჩატარებულმა აუდიტმა შეიძლება მოიცვას ამ ორგანიზაციის მთლიანი საფინანსო საქმიანობა.“.

- კანონით არ არის მოცემული საგამონაკლისო დათქმა, რომელიც აუდიტის ობიექტის საქმიანობის შემოწმების ზოგადი უფლებამოსილებიდან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს (შემდგომ – ა(ა)იპ) გამორიცხავს ან მათ განსხვავებულ რეჟიმში აყენებს.

შესაბამისად, ა(ა)იპ-ებთან მიმართებით, აუდიტორული კომპეტენციის ფარგლები ზემოთ აღნიშნული საერთო მიდგომებით განისაზღვრება, კერძოდ:

- აუდიტის ობიექტი შეიძლება იყოს ა(ა)იპ, რომლის საქმიანობა საჯარო რესურსების მართვას უკავშირდება.
- აუდიტორული შემოწმების ფარგლები საჯარო ფინანსური ინტერესის/გავლენის დომინანტობის პრინციპს ეფუძნება, რომლის თანახმად, აუდიტორულმა შემოწმებამ შეიძლება მოიცვას ა(ა)იპ-ის მთლიანი საფინანსო საქმიანობა, თუ ორგანიზაცია კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო ამოცანებს ასრულებს ან ორგანიზაციის მიერ გამოყენებული სუბსიდია მის შემოსავალსა ან კაპიტალთან შედარებით მნიშვნელოვნად დიდია.

განსახილველ შემთხვევაში, რაგბის კავშირთან მიმართებით აუდიტორული კომპეტენციის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოებები:

ა(ა)იპ – რაგბის კავშირი წარმოადგენს 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს მიერ დაფუძნებული საქართველოს რაგბის კავშირის სამართალმემკვიდრეს.

რაგბის კავშირი, 1999 წლის წესდებისა და „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, წარმოადგენს საქართველოს სპორტულ ეროვნულ ფედერაციას, რომელიც მიზნად ისახავს სპორტის შესაბამისი სახეობის განვითარებას. ამავე კანონით სპორტი მიჩნეულია უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმედ,[9] რომლის მართვაში ჩართულია რაგბის კავშირი.[10]

[8] იხ. საქართველოს ორგანული კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.
[9] იხ. საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“, პრეამბულა, პირველი მუხლი.
[10] იხ.: საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“, მე-8 და მე-10 მუხლები.

იგი ერთადერთი ხელმძღვანელი ორგანოა სპორტის ამ სახეობაში და პასუხს აგებს მისი განვითარებისთვის, წარმოადგენს სპორტის შესაბამის სახეობას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, აკომპლექტებს ეროვნულ ნაკრებ გუნდს და წარადგენს საერთაშორისო ორგანიზაციებში და სპორტულ შეჯიბრებებზე. რაგბის კავშირის უფლებამოსილება მისი კომპეტენციის ფარგლებში ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. იგი ასრულებს სახელმწიფო დაკვეთას და ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. რაგბის კავშირი პასუხისმგებელია სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების დაცვაზე, მათ შორის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და სპორტის ინდუსტრიის განვითარებაზე.[11] ამ პრინციპის შესაბამისად, სპორტისთვის გამიზნული ფინანსური სახსრების (როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო) და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება დაიშვება მხოლოდ სპორტის განვითარებისათვის.[12]

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ 2014–2018 წლებში რაგბის კავშირის მიერ ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება მისი მთლიანი შემოსავლების 70 პროცენტს შეადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს რაგბის კავშირის მთლიანი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აუდიტი.

2. მიწის ნაკვეთის რეალიზაციის საკითხთან (პუნქტი 2.2 „მიწის ნაკვეთების რეალიზაცია“, გვ.16) დაკავშირებით, პრეზიდენტი აღნიშნავს: როგორც საქმის მასალებით დგინდება, უძრავი ქონების გასხვისება მისი საბაზრო ღირებულების აუდიტორული შეფასების გარეშე განხორციელდა. ამ ფაქტს ადასტურებს საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი 2020 წლის 23 იანვრის N059 და N060 აუდიტორული დასკვნებიც, რომლებიც აღნიშნული გარიგებების დადებიდან წლების შემდგომ იქნა შედგენილი. შესაბამისად, მართებულია აუდიტორული მოსაზრება, რომ უძრავი ქონების გასხვისება მისი საბაზრო ღირებულების აუდიტორული შეფასების გარეშე, ამცირებს შესაძლებლობას მიღებულ იქნეს რაციონალური გადაწყვეტილება რაგბის კავშირის ინტერესის სასარგებლოდ და ამავდროულად, ზრდის არამართლზომიერი გარიგების რისკს.

ამდენად, ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

3. შეთავსებით საქმიანობასთან (პუნქტი 2.1 „შრომის ანაზღაურება“, გვ. 15) დაკავშირებით, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ აუდიტის ანგარიშში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება კონტროლის არარსებობის პირობებში განხილულია როგორც „ფიქტიური შრომითი საქმიანობის“ ანაზღაურების რისკის შემცველი, რომლის გამომრიცხავი მტკიცებულება საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია.

ამდენად, ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

4. კვების მომსახურების შესყიდვის საკითხთან (პუნქტი 2.3.2 „კვების მომსახურების შესყიდვა“, გვ. 23) დაკავშირებით, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ საქმის მასალების შესაბამისად, კვების მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმებულია ისეთ კომპანიასთან, რომლის დამფუძნებლებსაც წარმოადგენენ რაგბის კავშირში დასაქმებული პირები. საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მისი მხრიდან მომწოდებლის შერჩევა განხორციელდა ბაზრის კვლევის შედეგად, საუკეთესო წინადადების საფუძველზე. მოცემულ საკითხზე საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ კვების მომსახურების ღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორი, საქსტატის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე აპელირებით, იყო კვების პროდუქტზე ფასების 10-15 %-იანი ზრდა, ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან საკვები პროდუქტის ღირებულების წილი კვების მომსახურების მთლიან ღირებულებაში შეადგენს – ერთ შემთხვევაში – 25%-ს, ხოლო მეორე შემთხვევაში – 36%-ს, რაც ვერ იქონიებდა მნიშვნელოვან გავლენას კვების მომსახურების ღირებულებაზე.

ამდენად, ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

[11] იხ.: საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“, მე-2 მუხლი და მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი.

[12] იხ.: საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“, 23-ე მუხლის მე-8 პუნქტი და 24-ე მუხლი.

III

სარეზოლუციო ნაწილი:

იხელმძღვანელა რა "სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტით და 29-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის N14/37 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის" მე-9 მუხლის პირველი პუნქტით,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმმა
გადაწყვიტა:

უარი ეთქვას ა(ა)იპ – საქართველოს რაგბის კავშირს 2020 წლის 18 თებერვლის N120/02 საჩივრის (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N1309/29) დაკმაყოფილებაზე და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2020 წლის 28 იანვარს დამტკიცებული ა(ა)იპ – საქართველოს რაგბის კავშირის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის 2014–2018 წლების შესაბამისობის აუდიტის N7/36 ანგარიში დარჩეს უცვლელად.

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

დავით გოგიჩაიშვილი
გენერალური აუდიტორის მოადგილე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური / თავდაცვის,
საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
სოფიო დვალიშვილი

ნოე ქაშიბაძე
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური / ეფექტიანობის
აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კაპანაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური / თვითმმართველი

ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი




თორნიკე შერმადინი
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



გიორგი გაჩეჩილაძე
ინფორმაციული ტექნოლოგიების
ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი



ცოტნე ქარქაშაძე
სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული
ანალიზის დეპარტამენტის უფროსი



ალექსანდრე გოგოლაშვილი
აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი



ნატო ზაალიშვილი
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / შიდა აუდიტის
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ზაზა გელაშვილი



ვაჟა ბრაგვაძე
ადმინისტრაციის უფროსი

